შ.პ.ს. საპროექტო
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
“ბაზისი XXI”

საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ.№63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

L.T.D. projecting
architect-design studio
“BAZISI XXI”

63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. (+995 595) 27 21 27
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

№ 106/14

„11“ სექტემბერი 2014წ.

სამშპერტო კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, მოსკოვის გამზ. №31ა-ში, შ.პ.ს. „ქართული დეველოპერული კომპანია“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.11.007.051 მდებარე არსებული შენობის №1/1-ის ნაწილზე საოფისე ფართის დაშენების შესაძლებლობის შესახებ.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის სპეციალისტების მიერ გამოკვლევა ჩაუტარდა ზემოთაღნიშნულ მისამართზე მდებარე შენობას №1/1, მასზე (მის ნაწილზე) საოფისე ფართის დაშენების შესაძლებლობის და უსაფრთხოების დასადგენად.

ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, მოსკოვის გამზ. №31ა-ში, შ.პ.ს. „ქართული დეველოპერული კომპანია“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.11.007.051 მდებარე შენობა №1/1 წარმოადგენს ერთსართულიან ნაგებობას, სარდაფის სართულის გარეშე. კონსტრუქციული სქემის მიხედვით ნაგებობა ანაკრები რკ/ბეტონის კარკასული ტიპისაა.

არსებული შენობის სვეტები ანაკრები რკ/ბეტონისაა; რიგელები და გადახურვის კოჭები ანაკრები რკ/ბეტონისაა; I სართულის გადახურვები შესრულებულია ანაკრები რკ/ბეტონის წიბოვანი ფილებით; კედლები წარმოადგენს კარკასის შევსებას, ისინი სილიკატური და წითელი აგურის წყობისაა; სახურავი ბრტყელი ტიპისაა, რულონური მასალებისაგან; ნაგებობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მესაკუთრეს სურვილი აქვს არსებული შენობის №1/1-ის ნაწილზე დააშენოს საოფისე ფართი, გაბარიტული ზომებით 8,64X13,35მ; მოაწყოს შენობა №2/1-დან დასაშენებელ ფართში შესასვლელი და ასასვლელი კიბე.

ამისათვის საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- დასაშენებელი ფართის კონსტრუქციული სქემა გადაწყვეტილი იქნას ლითონის კარკასში; დაშენების სვეტები მოეწყოს კვადრატული პროფილის ლითონის მილებისაგან: 100X100X 3მმ;
- მილები ჩამაგრდეს ლითონის შეწყვილებულ შველერებზე პროფილით №16, თავის მხრივ შველერები მოეწყოს არსებული გადახურვის ფილების თავზე;
- კიბის მოსაწყობად ამოიჭრას გადახურვის რკ/ბეტონის ფილა წიბოებს შორის, კიბე მოეწყოს ლითონის შველერებზე.
- ლითონის კარკასის ელემენტებზე მოეწყოს ორმხრივი შეფიცვრა, გარე მხრიდან გაეკრას მავთულოვანი ბადე და შეილესოს ქვიშა-ცემენტის ხსნარით;
- ტიხრები მოეწყოს თაბაშირ-მუყაოს ფილებით, ხის ან ლითონის დგარებზე.

<u>დასკვნა:</u>

შესრულებული გამოკვლევის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ს, ქ. თბილისში, სექტორი-სამგორი, მოსკოვის გამზ. №31ა-ში, შ.პ.ს. „ქართული დეველოპერული კომპანია“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე № 01.17.11.007.051 მდებარე არსებული შენობის №1/1-ის ნაწილზე საოფისე ფართის დაშენება შესაძლებლად და უსაფრთხოდ მიაჩნია. ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინებით არსებული შენობის საერთო მდგრადობა არ გაუარესდება.

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
გენ. დირექტორი /ი. ცერცვაძე/

შ.პ.ს. „ბაზისი XXI“-ის
ექსპერტი-კონსტრუქტორი /ვ. ჯაფარიძე/